სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ. თბილისი „17" იანვარი 2020 წ.

ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის ქ. N 41-ში სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო. კოდი 03.01.23.742), მეტეორადარის ინფრასტრუქტურული კომპლექსის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების (CPV 45223400) სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №1

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

თეიმურაზ მთივლიშვილი - სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე;

სატენდერო კომისიის წევრები:

გიორგი ცაგარეიშვილი – სააგენტოს უფროსის მოადგილე (სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

მარიამ ხვედელიძე – ეკონომიკური სამსახურის უფროსი;

რამაზ ჭითანავა – ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის უფროსი;

მარინე არაბიძე – გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი;

მერაბ გაფრინდაშვილი – გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;

ნინო სამადაშვილი – იურიდიული სამსახურის უფროსი;

ზვიად გელაშვილი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

თეა წულაია - ეკონომიკური სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი;

ზვიად მანჯგალაძე - ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

ეთერ ალთუნაშვილი – ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

გიორგი მაღრაძე – ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

დღის წესრიგი: ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის ქ. N 41-ში სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო. კოდი 03.01.23.742), მეტეორადარის ინფრასტრუქტურული კომპლექსის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების (CPV 45223400) სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო კომისიის აპარატის მიერ წარმოდგენილი სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის განხილვა/დამტკიცება.

განიხილეს:

წარმოდგენილი სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი, სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში.

დაადგინეს:

დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი არსებული სახით და დაუყოვნებლივ განთავსდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სავარაუდო ღირებულებით 472 750 (ოთხას სამოცდათორმეტი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი.

კომისიის თავმჯდომარე

---------- თეიმურაზ მთივლიშვილი

კომისიის წევრები:

---------- გიორგი ცაგარეიშვილი

---------- მარიამ ხვედელიძე

---------- რამაზ ჭითანავა

---------- მარინე არაბიძე

---------- მერაბ გაფრინდაშვილი

---------- ზვიად გელაშვილი

---------- ნინო სამადაშვილი

---------- თეა წულაია

---------- ზვიად მანჯგალაძე

კომისიის აპარატის წევრი:

---------- ეთერ ალთუნაშვილი

---------- გიორგი მაღრაძე

LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

Digitally signed by LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY
Date: 2020.01.17 17:33:33 +04'00'

შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1.1 მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის დასახელება

ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის ქ. N 41-ში სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო. კოდი 03.01.23.742), მეტეორადარის ინფრასტრუქტურული კომპლექსის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.

1.2 მიუთითეთ საქონლის/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

1.2.1 შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი და რაოდენობა განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N2-ში.

1.2.2 პრეტენდენტის მიერ ხარჯთაღრიცხვა ატვირთული იქნას Excel-ის ფორმატის ფაილის და PDF ფორმატის სახით, დანართი N2–ის მიხედვით. სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან (დაზუსტების გარეშე), თუ არ იქნება წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციის 1.3 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვა (დანართი N2) ან ის წარმოდგენილი იქნება განუფასებლად (გარდა იმ შემთხვევისა, თუ წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი პოზიცი(ებ)ის რაოდენობა არ აღემატება განსაფასებელი პოზიციების 1%-ს);

1.2.3 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით. პრეტენდენტი ვალდებულია ფასების ცხრილში (ხარჯთაღრიცხვა) მითითებული ერთეულისა და საერთო ფასები გამოსახოს და შესაბამისად გაინაგარიშოს ლარის მეასედის - თეთრების სიზუსტით (მძიმის შემდეგ ორი ციფრი);

1.2.4 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულებისას წარმოქმნილი ნარჩენები განათავსოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ნაგავსაყრელზე.

1.2.5 სამუშაოების შესრულების დროს შემსყიდველისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის აღმოფხვრის ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

1.2.6 ხარჯთაღრიცხვის ექსელის ფორმატის ფაილი (დანართი N2) ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

1.2.7 ხარჯთაღრიცხვის გაანგარიშება უნდა მოხდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების გათვალისწინებით.

- გეოლოგია.pdf
- არქიტექტურული ალბომი.pdf
- გაგრილების პროექტი.pdf
- ელექტრობა-სუსტი დენების პროექტი.pdf
- კონსტრუქციული პროექტი, ნაწილი -1.pdf
- კონსტრუქციული პროექტი, ნაწილი -2.pdf
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი.pdf
- ტერიტორიის არსებული სურათები.pdf
- ტექნიკური დავალება დანართი N1.pdf

1.3 ატვირთეთ ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

- ხარჯთაღრიცხვა დანართი N2.xls

1.4 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

შემსყიდველის მიერ სამუშაოების დაწყების შესახებ წერილობითი მოთხოვნიდან, სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, არაუმეტეს 4 (ოთხი) თვის ვადაში (ექსპერტიზის მომსახურების ვადის ჩათვლით).

1.5 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

1.5.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმებისა და წესების დაცვით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;
1.5.2. სამუშაოების შესრულების ადგილია ქალაქ ქუთაისი,ავტომშენებლის ქ. N 41-ში მდებარე (საკადასტრო. კოდი 03.01.23.742) მდებარე მიწის ნაკვეთი.

1.6 მიუთითეთ შესასრულებელი სამუშაოს გონივრული საგარანტიო ვადა

1.6.1. კონსტრუქციულ ნაწილზე _ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 3 (სამი) წელი;
1.6.2. გათბობა-ვენტილაციის, ელექტროგაყვანილობის, სუსტი დენების, ვიდეო-კამერების ნაწილზე _ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 1 (ერთი) წელი;
1.6.3. მანქანა-დანადგარებზე _ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 3 (სამი) წელი.

შენიშვნა: პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ზემოაღნიშნული ინფორმაცია დანართი N3-ის მიხედვით, რომელიც ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციის „10.1 დამატებითი ინფორმაციაში/დოკუმენტებში"

1.6.4. სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით გონივრულ ვადაში.
1.6.5. შემსყიდველის მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების თარიღიდან 1 წლის ვადით დაკავებული იქნება მიწოდებული სამუშაოს ღირებულების 2,5%-ის ოდენობა.
1.6.6. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე წარმოადგინოს მიწოდებული სამუშაოს ღირებულების 2,5%-ის ოდენობის უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების 1.6.5. პუნქტში მოცემულ 1 წლიან პერიოდს.
1.6.7. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს სატენდერო დოკუმენტაციის 1.6.5 პუნქტის მოთხოვნებს მაშინ 1.6.6 პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტია (მიწოდებული სამუშაოს 2,5%) დაბრუნებას არ ექვემდებარება.
1.6.8 მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე დაუბრუნდება აღნიშნული საბანკო გარანტია ხარვეზების აღმოფხვრის და 1.6.5. პუნქტში მოცემულ 1 წლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ.
1.6.9 თუკი 1.6.5. პუნქტში მითითებული 1 წლიანი პერიოდის ვადის გასვლამდე გამოვლენილი ხარვეზების შედეგად შემსყიდველს მიადგა ზიანი გარანტიით განსაზღვრულ ღირებულებაზე მეტი ოდენობით, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს შესაბამისი ნარჩენი ღირებულება ან აღმოფხვრას წუნი საკუთარი ხარჯებით.

ტექნიკური მოთხოვნები

2.1 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან/და მწარმოებლის შესახებ?

არა

2.2 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ?

კი

2.2.1 მიუთითეთ პრეტენდენტის გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

პრეტენდენტს 2017 წლის 01 იანვრიდან - ამ ტენდერის გამოცხადებამდე ჯამურად უნდა გააჩნდეს არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სამშენებლო სამუშაოების ან/და რეაბილიტაციის ან/და რეკონსტრუქციის ან/და გამაგრებითი სამუშაოების შესრულების გამოცდილება. აქედან, პრეტენდენტს ამავე პერიოდში უნდა გააჩნდეს ჯამურად არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ლითონკონსტრუქციის (მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები, რადიო-სალოკატორო და საკომუნიკაციო დანიშნულების ანძები, რომელთა სიმაღლე არის 12 მეტრი და მეტი, დიდმალიანი (12 მეტრი და მეტი) ფერმული ლითონკონსტრუქციის მქონე სამოქალაქო ან სამრეწველო ფუნქციის დანიშნულების შენობა-ნაგებობა, დიდმალიანი ლითონკონსტრუქციის ხიდები (12 მეტრი და მეტი)) მშენებლობის სამუშაოების შესრულების გამოცდილება, საიდანაც თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარის სამუშაოები. აღნიშნულის დასადასტურებლად პრეტენდენტმა ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა ატვირთოს შესაბამისი ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები/ფორმაN2/ანგარიშ-ფაქტურები, ხოლო თუ პრეტენდენტს ხელშეკრულებ(ები)ა გაფორმებული აქვს სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციასთან, საკმარისია მითითებულ იქნას შესაბამისი SPA, NAT, CMR ან სხვა ნომრები.

2.3 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ?

არა

2.4 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ?

არა

2.5 მოითხოვება თუ არა დეტალური ინფორმაცია საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი)?

კი

2.5.1 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადებთან (გეგმა-გრაფიკი) დაკავშირებული მოთხოვნები

2.5.1.1. პრეტენდენტმა, სატენდერო წინადადების წარდგენისას, უნდა ატვირთოს შესასრულებელი სამუშაოების კალენდარული და თანხობრივი გეგმა-გრაფიკი (ხარჯთაღრიცხვებში წარმოდგენილი სამუშაოების გათვალისწინებით) თითოეული კვირის მიხედვით;
2.5.1.2. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები აწარმოოს კალენდარული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

2.6 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ (გარდა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემებისა)?

არა

2.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებით?

კი

2.7.1 მიუთითეთ ლიცენზიასთან, სტანდარტებთან, აკრედიტაციასთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებული მოთხოვნები

მიმწოდებელი ვალდებულია, საბოლოო შესრულებულ სამუშაოებზე, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნის (პროექტთან, სამშენებლო ნორმებთან და წესებთან შესაბამისობა, შესრულებული სამუშაოების ხარისხი და შესრულებული სამუშაოთა მოცულობების ფორმა №2-ით წარმოდგენილი სამუშაოების მოცულობებთან შესაბამისობა) წარმოდგენა (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი).

2.8 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ?

არა

2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

2.9.1. სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან 5 (ხუთი) დღის ვადაში;
2.9.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან შეათანხმოს მასალების იერსახე და ხარისხი;
2.9.3. სამუშაოს შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ხარისხისა და სამუშაოების მიმდინარეობის ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი ასევე წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება;
2.9.4. მიმწოდებელმა ობიექტზე სამუშაოს დაწყებამდე თვალსაჩინო ადგილას უნდა განათავსოს არანაკლებ 1 (ერთი) ერთეული საინფორმაციო დაფა ზომით - 150 სმ/100 სმ (შემსყიდველის მიერ გადაცემული ესკიზის შესაბამისად);
2.9.5. პრეტენდენტი ვალდებულია სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში (დანართი N2) გაითვალისწინოს რეზერვი გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე 5%-ის ოდენობით;
2.9.6. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება რადარის სატესტო (რაც ითვალისწინებს რადარის ექსპლუატაციაში გაშვებას და მის გამართულ მუშაობას) მუშაობის შემდგომ.

შენიშვნა:
თუ აღმოჩნდა, რომ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება ნაკლებია ავანსად გადახდილ თანხის ოდენობაზე, მიმწოდებელი ვალდებულია სხვაობა, ავანსად გადახდილ თანხასა და ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოს შორის არსებული თანხა დააბრუნოს შემსყიდველის მიერ მითითებულ შესაბამის სახაზინო ანგარიშზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

შესყიდვის ობიექტის ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა

3.1 მოითხოვება თუ არა ნიმუშის ან/და ნიმუშის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა?

არა

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

4.1 მოითხოვება თუ არა სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობა?

კი

4.1.1 მიუთითეთ, კონკრეტულად თუ რა დოკუმენტ(ებ)ით უნდა დაასაბუთოს პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა

4.1.1 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, რაზეც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი), რომელშიც ტექსტობრივად მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს, 2017 წლის 26 სექტემბრის საქართველოს მთავრობის N439 დადგენილებით განსაზღვრული ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენის მეთოდიკის" მოთხოვნებთან დასკვნის შესაბამისობა. წარმოდგენილი დასკვნით უნდა დასტურდებოდეს პრეტენდენტის მიერ ატვირთულ სატენდერო ხარჯთაღრიცხვაში (სატენდერო წინადადების საბოლოო ფასის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა (შესაბამისი ტენდერის უნიკალური ნომრის მითითებით)) დაფიქსირებული ერთეულის ფასებით (თითოეულ ერთეულთან მიმართებით) და აგრეთვე ჯამური ღირებულებით ამავე ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების შესაძლებლობა. ექსპერტიზის დასკვნას თან უნდა ერთვოდეს სატენდერო ხარჯთაღრიცხვა და რესურსული მეთოდით შედგენილი ხარჯთაღრიცხვა. ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების 28-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრული პირობები.

4.1.2 მიუთითეთ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის ვადა

მოთხოვნიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

5.1 მოითხოვება თუ არა პრეტენდენტის სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი?

კი

5.1.2 მიუთითეთ იურიდიული პირისთვის წაყენებული მოთხოვნები

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელშიც, პრეტენდენტის მიმართ, არ უნდა იყოს რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება ან/და პრეტენდენტი არ უნდა იყოს რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში. თუკი პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია სრულად იმ თანხის გადახდაზე, რომელიც პირს უფიქსირდება აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაში, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების რეგისტრაციის არსებობა დისკვალიფიკაციის საფუძვლად არ იქნება მიჩნეული.
2. ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ, საიდანაც უნდა იკვეთებოდეს, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია აღიარებული დავალიანება ბიუჯეტის მიმართ (გარდა იმ შემთხვევისა თუ პირს გაფორმებული აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით

განსაზღვრული საგადასახადო შეთანხმება, სრულად იმ თანხის გადახდაზე, რომელიც უფიქსირდება აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაში, რაზედაც პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საგადასახადო შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი).

3. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტებში რეგისტრირებულია სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.2 პუნქტის 1-ლ და მე-2 ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე უფლებრივი შეზღუდვა, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ელექტრონულ ტენდერში წინადადებების მიღების ეტაპის დაწყების შემდეგ.

5.1.3 მიუთითეთ ინდივიდუალური მეწარმისთვის წაყენებული მოთხოვნები

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელშიც, პრეტენდენტის მიმართ, არ უნდა იყოს რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება ან/და პრეტენდენტი არ უნდა იყოს რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში. თუკი პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია სრულად იმ თანხის გადახდაზე, რომელიც პირს უფიქსირდება აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაში, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების რეგისტრაციის არსებობა დისკვალიფიკაციის საფუძვლად არ იქნება მიჩნეული.

2. ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ, საიდანაც უნდა იკვეთებოდეს, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია აღიარებული დავალიანება ბიუჯეტის მიმართ (გარდა იმ შემთხვევისა თუ პირს გაფორმებული აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო შეთანხმება, სრულად იმ თანხის გადახდაზე, რომელიც უფიქსირდება აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაში, რაზედაც პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საგადასახადო შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი).

3. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტებში რეგისტრირებულია სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.3 პუნქტის 1-ლ და მე-2 ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე უფლებრივი შეზღუდვა, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოებიდან სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ელექტრონულ ტენდერში წინადადებების მიღების ეტაპის დაწყების შემდეგ.

5.1.4 მიუთითეთ ფიზიკური პირისთვის წაყენებული მოთხოვნები

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას:

1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

2. ცნობა შესაბამისი ადმინისტრაციული დაწესებულებიდან მოვალეთა რეესტრში პირის რეგისტრაციის არარსებობის შესახებ.

3. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტში რეგისტრირებულია 5.1.4 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტში მითითებული უფლებრივი შეზღუდვა, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

შენიშვნა: ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ელექტრონულ ტენდერში წინადადებების მიღების ეტაპის დაწყების შემდეგ.

5.1.5 მიუთითეთ ამხანაგობისთვის წაყენებული მოთხოვნები

1. სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.5 პუნქტით გათვალისწინებული სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები შემსყიდველ ორგანიზაციას წარედგინება, როგორც ამხანაგობის, ასევე მისი თითოეული წევრის შესახებ, კერძოდ:

უშუალოდ ამხანაგობისთვის:

ა) შესაბამისად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან გაცემული დოკუმენტ(ებ)ი რომლითაც უნდა დასტურდებოდეს, რომ პრეტენდენტის მიმართ, არ არის რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება ან/და პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში. თუკი პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია სრულად იმ თანხის გადახდაზე, რომელიც პირს უფიქსირდება აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაში, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების რეგისტრაციის არსებობა დისკვალიფიკაციის საფუძვლად არ იქნება მიჩნეული.

ბ) ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ, საიდანაც უნდა იკვეთებოდეს, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია აღიარებული დავალიანება ბიუჯეტის მიმართ (გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირს გაფორმებული აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო შეთანხმება, სრულად იმ თანხის გადახდაზე, რომელიც უფიქსირდება აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაში, რაზედაც პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საგადასახადო შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი).

ამხანაგობის წევრებისთვის:

ა) ამონაწერები მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან; საიდანაც უნდა იკვეთებოდეს, რომ ამხანაგობის წევრების მიმართ არ არის რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება ან/და აღნიშნული პირები არ არიან რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში. თუკი პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია სრულად იმ თანხის გადახდაზე, რომელიც პირს უფიქსირდება აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაში, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების რეგისტრაციის არსებობა დისკვალიფიკაციის საფუძვლად არ იქნება მიჩნეული.

ბ) ცნობები ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ, საიდანაც უნდა იკვეთებოდეს, რომ ამხანაგობის მონაწილეებს არ გააჩნიათ აღიარებული დავალიანება ბიუჯეტის მიმართ (გარდა იმ შემთხვევისა თუ პირს გაფორმებული აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო შეთანხმება, სრულად იმ თანხის გადახდაზე, რომელიც უფიქსირდება აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაში, რაზედაც წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საგადასახადო შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი).

გ) იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობის მონაწილე წარმოადგენს არარეზიდენტ პირს, მისი სარეგისტრაციო უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.6 პუნქტისა და მისი ქვეპუნქტების მოთხოვნათა მიხედვით, ხოლო, წარმომადგენლობის/ფილიალის შემთხვევაში - სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.7 პუნქტის მიხედვით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობის, ან/და მისი რომელიმე წევრ(ებ)ის მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტებში რეგისტრირებულია 5.1.5 პუნქტის შესაბამის ქვეპუნქტებში გათვალისწინებული რომელიმე უფლებრივი შეზღუდვა, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

5.1.6 მიუთითეთ არარეზიდენტი პირისთვის წაყენებული მოთხოვნები

1. არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას:

ა) პრეტენდენტის, როგორც მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ.:ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან) რომელიც უნდა შეიცავდეს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:

- საფირმო სახელწოდება;

- სამართლებრივი ფორმა;

- საიდენტიფიკაციო ნომერი;

- რეგისტრაციის ნომერი/თარიღი;

- მარეგისტრირებელი ორგანო;

- იურიდიული მისამართი;

- ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები.

ბ) დოკუმენტ(ებ)ი, რომლითაც დადასტურდება, რომ პრეტენდენტის მიმართ, არ არის რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება ან/და პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.

გ) ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ, საიდანაც უნდა იკვეთებოდეს, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია აღიარებული საგადასახადო დავალიანება ბიუჯეტის მიმართ.

დ) პრეტენდენტის სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს თავისი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო(ები)დან, დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მათ თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. იმ შემთხვევაში, თუ არარეზიდენტი იურიდიული პირის რეგისტრაციის ქვეყანაში არ ხდება ზემოაღნიშნული რომელიმე მონაცემის/ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის გაცემა, აღნიშნულის დასადასტურებლად პრეტენდენტმა, უნდა წარმოადგინოს თავისი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან წერილობითი დოკუმენტი, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მათ თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

2. არარეზიდენტი ფიზიკური პირის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ცნობა შესაბამისი ადმინისტრაციული დაწესებულებიდან მოვალეთა რეესტრში პირის რეგისტრაციის არარსებობის შესახებ.

გ) პრეტენდენტის სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს თავისი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო(ები)დან, დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მათ თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. იმ შემთხვევაში, თუ არარეზიდენტი იურიდიული პირის რეგისტრაციის ქვეყანაში არ ხდება ზემოაღნიშნული რომელიმე მონაცემის/ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის გაცემა, აღნიშნულის დასადასტურებლად, პრეტენდენტმა, უნდა წარმოადგინოს თავისი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი, ადმინისტრაციული ორგანოდან წერილობითი დოკუმენტი, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მათ თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

3. თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტ(ებ)ში რეგისტრირებულია 5.1.6 პუნქტის შესაბამის ქვეპუნქტებში გათვალისწინებული რომელიმე უფლებრივი შეზღუდვა, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

შენიშვნა: სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ელექტრონულ ტენდერში წინადადების მიღების ეტაპის დაწყებამდე არაუგვიანეს 30 დღისა.

5.1.7 მიუთითეთ წარმომადგენლობისთვის/ფილიალისთვის წაყენებული მოთხოვნები

იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი არის უცხოური საწარმოს წარმომადგენელი/ფილიალი საქართველოში, იგი ვალდებულია წარმოადგინოს, როგორც თავისი, ასევე სათაო კომპანიის სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.2

პუნქტის 1-ლ და მე-2 ქვეპუნქტებისა და სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.6 პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად. ამასთან, თუ წარმომადგენლობის/ფილიალის ან/და სათაო კომპანიის სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტებში რეგისტრირებულია 5.1.2 ან/და 5.1.6 პუნქტების შესაბამის ქვეპუნქტებში გათვალისწინებული რომელიმე უფლებრივი შეზღუდვა, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ელექტრონულ ტენდერში წინადადებების მიღების ეტაპის დაწყების შემდეგ.

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

6.1 მიუთითეთ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა - (2 %-დან 5 %-ის ჩათვლით)

5 პროცენტი

ჩაწერა

6.2 მიუთითეთ სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში გარანტიის ოდენობა - (2 %-დან 10 %-ის ჩათვლით)

10 პროცენტი

ჩაწერა

6.3 მიუთითეთ გარანტიის მოქმედების ვადა

ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადას.

6.4 მიუთითეთ გარანტიის პირობები

6.4.1 ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%–ის ოდენობით.

6.4.2 უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 200 000 ლარზე ნაკლებს, საბანკო გარანტიის მექანიზმი არ გამოიყენება.

ანგარიშსწორების პირობები

7.1 გამოიყენება თუ არა წინასწარი ანგარიშსწორება?

კი

7.1.1 მიუთითეთ წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობა და პირობები

7.1.1.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა წინასწარი ანგარიშსწორების თანხის (შემდგომში ავანსი)გადახდის თაობაზე.

7.1.1.2. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე, თუ იგი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება მის მიმართ ამ პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებების რეგისტრაციის არარსებობა.

7.1.1.3. შემსყიდველის მიერ ავანსის გადახდასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულების (უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულების შემთხვევაში, იგი გადაზღვეული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) მიერ გაცემული, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია, (რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას).

7.1.1.4. მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 80%-ს.

7.1.1.5. მიმწოდებელმა ავანსის თანხები უნდა გამოიყენოს მხოლოდ ამ შესყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

7.2 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

ანგარიშსწორება განხორციელდება: იმ შემთხვევაში თუ არ განხორციელდება წინასწარი ანგარიშსწორება, მაშინ მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შედეგად მხარეებს შორის გაფორმებული საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე ან საავანსო საბანკო გარანტიის საფუძველზე.

7.3 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები(სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციაა ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე)

ანგარიშსწორება მოხდება, მხარეებს შორის გაფორმებული საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის ან საავანსო საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

ხელშეკრულების პროექტი

8.1 ატვირთეთ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პროექტი.pdf

საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

9.1 მიუთითეთ სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

გიორგი მაღრაძე, 555464464, gmagradze35@gmail.com

დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

10.1.1. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

10.1.2. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

10.1.3. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტები და/ან ინფორმაცია უნდა იქნას ელექტრონულად

ხელმოწერილი შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ან დამოწმებული კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ: პრეტენდენტი, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე ვალდებულია, სახელმწიფო შესყიდვებში ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთ ელექტრონულ დოკუმენტებზე შეასრულოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და ეს დოკუმენტები დაამოწმოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპით (იხ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები). იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი, პრეტენდენტმა სისტემაში უნდა წარმოადგინოს ხელისმომწერი პირის ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა.

10.1.4. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

10.1.5. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

10.1.6. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარებში.

10.1.7. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

10.1.8. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყარო: 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

10.1.9. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

ა) თანხმობა ტექნიკურ დავალებაზე დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) ხარჯთაღრიცხვა დანართი N2-ის შესაბამისად როგორც Excel-ის ფორმატის ფაილის, ასევე PDF ფორმატის სახით;

გ) შესასრულებელი სამუშაოების კალენდარული და თანხობრივი გეგმა-გრაფიკი (ხარჯთაღრიცხვებში წარმოდგენილი სამუშაოების გათვალისწინებით) კვირების მიხედვით.

დ) 2017 წლის 01 იანვრიდან - ამ ტენდერის გამოცხადებამდე ჯამურად 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სამშენებლო სამუშაოების ან/და რეაბილიტაციის ან/და რეკონსტრუქციის ან/და გამაგრებითი სამუშაოების შესრულების გამოცდილება. აქედან, პრეტენდენტს ამავე პერიოდში უნდა გააჩნდეს ჯამურად არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ლითონკონსტრუქციის (მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები, რადიო-სალოკატორო და საკომუნიკაციო დანიშნულების ანძები, რომელთა სიმაღლე არის 12მეტრი და მეტი, დიდმალიანი (12 მეტრი და მეტი) ფერმული ლითონკონსტრუქციის მქონე სამოქალაქო ან სამრეწველო ფუნქციის დანიშნულების შენობა-ნაგებობა, დიდმალიანი ლითონკონსტრუქციის ხიდები (12 მეტრი და მეტი)) მშენებლობის სამუშაოების შესრულების გამოცდილება, საიდანაც თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარის სამუშაოები. აღნიშნულის დასადასტურებლად პრეტენდენტმა ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა ატვირთოს შესაბამისი ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები/ფორმაN2/ანგარიშ-ფაქტურები, ხოლო თუ პრეტენდენტს ხელშეკრულებ(ები)ა გაფორმებული აქვს სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციასთან, საკმარისია მითითებულ იქნას შესაბამისი SPA, NAT, CMR ან სხვა ნომრები;

ე) ინფორმაცია საგარანტიო ვადის შესახებ დანართი N3-ის შესაბამისად.

ინფორმაცია საგარანტიო ვადის შესახებ დანართი N3.pdf

სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

11.1 ატვირთეთ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

შესყიდვის ტიპი	ელექტრონული ტენდერი(SPA)
განცხადების ნომერი	N/A
შესყიდვის სტატუსი	განცხადების პროექტი
შემსყიდველი	გარემოს ეროვნული სააგენტო
შესყიდვის გამოცხადების თარიღი	
წინადადებების მიღება იწყება	01.02.2020 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	06.02.2020 12:00
დაფინანსება	2020 წლის სახსრები
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	472`750.00 GEL
წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით

დაამატე რჩეულებში

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი

- 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი

- 45223400 - სარადარო სადგურის მშენებლობა

შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	შემსყიდველის მიერ სამუშაოების დაწყების შესახებ წერილობითი მოთხოვნიდან, სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, არაუმეტეს (ოთხი) თვის ვადაში (ექსპერტიზის მომსახურების ვადის ჩათვლით)
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	4`730.00 GEL
გარანტიის ოდენობა	4`728 GEL
გარანტიის მოქმედების ვადა	160 დღე
დამატებითი ინფორმაცია	

ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის ქ. N 41-ში სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო. კოდი 03.01.23.742), მეტეორადარის ინფრასტრუქტურული კომპლექსის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.